საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 54 (11058) | ხუთშაბათი, 6 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

მომწიფებული ამოცანა

ოცდაათი წლის წინათ წარმოშობილმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ისტორიული როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში და ფართო პოპულარობა მოიპოვეს მთელ მსოფლიოში. ემყარებიან რა საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები სოფლის მეურნეობის კოოპერირების დროს ფართოდ იყენებენ სოფლის საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ისეთ ფორმებს, როგორიც არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან სახელმწიფოთა ადამიანები სამართლიანად აკავშირებენ სახალხო მეურნეობის ისეთ ყველაზე ფართო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგში სოციალიზმის გამარჯვებისათვის პარტიისა და მთელი ხალხის ბრძოლის ისტორიას, როგორიც მიწათმოქმედებაა. მტს-ების წარმოშობა და მშენებლობა მოასწავებდა უღრმეს ტექნიკურ რევოლუციას ჩვენს სოფლის მეურნეობაში, ხელს უწყობდა კულტურული რევოლუციის შემდგომ განვითარებას და ამასთან ერთად გადამწყვეტი ნაბიჯი იყო საკოლმეურნეო წყობილების შექმნისა და განმტკიცების გზაზე. მტს-ების გაჩენისა და კოლმეურნეობათა გამარჯვების შემდეგ ბოლო მოეღო სოფლად ოდითვე არსებულ კულაკურ ექსპლოატაციას და მილიონობით მშრომელი გლეხი გამოვიდა ახალი ცხოვრების მშენებლობის ფართო და ნათელ გზაზე.

გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა ჩვენი სოფლის მეურნეობა 1928 წელს, როცა წარმოიშვა პირველი მტს-ი. ეს იყო უნაპირო ზღვა წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობებისა, რომელთა საერთო რიცხვი 25 მილიონს აღწევდა. მოუხედავად იმ დიდი დახმარებისა, რასაც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო უწევდა ღარიბ და საშუალო გლეხებს მათი მეურნეობის გაძღოლაში, ჩვენი სოფელი კვლავ მეტად ჩამორჩენილი იყო ეკონომიურად და ტექნიკურად. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა 4 მილიონ 600 ათასი კავი, 14 მილიონი ცხენის გუთანი, 718 ათასი ცხენის სათესი მანქანა, ერთ მილიონ 300 ათასი ცხენის სამკალი მანქანა და მხოლოდ 27 ათასი ტრაქტორი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ინტერესები კი მოითხოვდა სოფლად ძველი, კერძომესაკუთრული წყობილების შეცვლას ახალი, სოციალისტური საკოლმეურნეო წყობილებით. ხოლო სოფლის მეურნეობაში წარმოების ახალი, სოციალისტური წესის ჯამარჯვებისათვის, — როგორც ხაზგასმით აღნიშნულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე, — საჭირო იყო, რომ კოლმეურნეობებს დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა არა მარტო წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის წინაშე, არამედ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების წინაშეც. ეს ამოცანა ვერ გადაიჭრებოდა, თუ ჩვენი სოფლის მეურნეობა არ აღიჭურვებოდა მოწინავე მანქანური ტექნიკით. მხოლოდ თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას შეუძლია სათანადოდ განავითაროს მიწათმოქმედების საწარმოო ძალები, უზრუნველყოს პროდუქტის წარმოება მაქსიმალური რაოდენობით და ამით ცხადყოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა და პროგრესულობა სოფლის მეურნეობის ყოველ სხვა, არასოციალისტურ სისტემასთან შედარებით.

სოციალისტური ინდუსტრია, რომელსაც ქმნიან საბჭოთა ხალხის გმირული ღონისძიებანი, წლითიწლობით ზრდიდა პროდუქციის, მათ შორის სოფლისათვის საჭირო მანქანების გამოშვებას. დარწმუნდნენ რა პირველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებით მიწათმოქმედებაში მსხვილი, დიდად მექანიზებული წარმოების უპირატესობაში, მშრომელი გლეხები რთული ტექნიკის გამოჩენის შემდეგ სულ უფრო და უფრო ადგებოდნენ კოლმეურნეობის გზას. მაგრამ ახლგაზრდა, ეკონომიურად ჯერ კიდევ სუსტ კოლმეურნეობებს არა

⊙

„პრავდის“ 5/III მოწინავე

⊙

ჰქონდათ საკმაო სახსრები, რომ ეყიდათ ტრაქტორები და სხვა რთული მანქანები, შეეძინათ საწვავი, აეგოთ შენობები მანქანების შესანახავად, სახელოსნოები — მათი რემონტისათვის. კოლმეურნეობებს არა ჰყავდათ კვალიფიციური კადრებიც, რომლებსაც შეეძლებოდათ ახალი მანქანების მართვა. თანაც მრეწველობა იმ პერიოდში ჯერ კიდევ ვერ ამზადებდა მანქანებს ისეთი რაოდენობით, რომ საკმარისად მოგვემარაგებინა ყველა კოლმეურნეობა.

ასეთ პირობებში დაიბადა ჩვენს ქვეყანაში პირველი, შევჩენკოს სახელობის მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელმაც დასაბამი მიხცა მტს-ების მასობრივ მშენებლობას. უკვე 1932 წელს მტს-ების რიცხვმა მიაღწია 2.446-ს, 1941 წელს მან გადააჭარბა 7 ათასს, ხოლო 1957 წელს შეადგენდა დაახლოებით 8 ათასს. მტს-ის სახით გამოვლინდა და გამოცდილებით შემოწმდა ფორმა სახელმწიფო საწარმოსი, რომელიც მოწოდებული იყო საკოლმეურნეო წარმოების საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად განხორციელებინა ახალგაზრდა კოლმეურნეობებისადმი ორგანიზაციულ-სამეურნეო ხელმძღვანელობა.

ჩვენმა სოფლის მეურნეობამ დიდი და სასახელო გზა განვლო სამ ათეულ წელიწადში, რაც მტს-ებისა და კოლმეურნეობების მასობრივი მშენებლობის დაწყებიდან გავიდა. წინანდელი სოფლის კვალიც კი აღარ დარჩა. მის ადგილას გაჩნდა ახალი, სოციალისტური სოფელი, რომელიც თავის შრომას ამყარებს საზოგადოებრივ საკუთრებასა და მოწინავე ტექნიკაზე. მხოლოდ სადმე ძველ ფარდულში შეიძლება დაინახოთ ახლა მიგდებული კავი და შრომის სხვა იარაღები, რომლებიც ძველ სოფელს ახასიათებდა. ახლა სოფლის მეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკში ითვლება დაახლოებით მილიონ შვიდასი ათასი ტრაქტორი, მრავალი ასეული ათასი კომბაინი და სხვა მანქანები. ამ პარკთან ერთად სოფელში გაჩნდნენ მანქანათშესაკეთებელი სახელოსნოები, ავტოტრანსპორტი, ელექტროენერგია.

მტს-ების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს კვალიფიციური მექანიზატორთა კადრების — ტრაქტორისტების, კომბაინერების, შოფრებისა და სხვების მრავალრიცხოვანი არმიის შექმნა. მარტო შუდმივ მუშაკთა რიცხვი 1957 წელს მტს-ებში შეადგენდა ორ მილიონზე მეტ კაცს. მტს-ებთან მოწყობილ მექანიზაციის სასწავლებლებსა და სკოლებში მომზადდა მილიონობით კვალიფიციური მუშაკი საკოლმეურნე წარმოებისათვის. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ არც ერთ სხვა ქვეყანას ამყამად არა ჰყავს ისეთი სასოფლო-სამეურნეო კადრები, როგორიც ჩვენს ქვეყანას.

აწყობს რა სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ წლებში განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რათა შემდგომ განმტკიცებულიყვნენ მტს-ები და გაძლიერებულიყო მათი როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. იმის შედეგად, რომ განხორციელდა პარტიის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ძირეულად შეიცვალა კოლმეურნეობების მდგომარეობაც. მეტი წილი კოლმეურნეობები ახლა გახდნენ მსხვილი. ეკონომიურად მტკიცე საზოგადოებრივი მეურნეობანი, რომლებიც მილიონობით შემოსავალს იღებენ და ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მექანიზატორთა კადრები ჰყავთ.

წარსულისაგან განსხვავებით კოლმეურნეობები, როგორც წესი, ახლა აღარ საჭიროებენ ხელმძღვანელობას მტს-ების მხრივ, რადგან მათ შეიძინეს მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების გაძღოლის საკუთარი უმდიდრესი გამოცდილება. უფრო მეტიც: მტს-ების მხრივ კოლმეურნეობათა მუშაობის რეგლამენტაცია ბევრ შემთხვევაში უკვე აფერხებს მათს განვითარებას, მათი რეზერვების გამოყენებას, აბრკოლებს კოლმეურნეთა შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას.

ამრიგად, შეიქმნა ვითარება, რომელიც მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ფორმებში. საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებითი პერიოდისაგან განსხვავებით უკვე ახლა მეტ წილ კოლმეურნეობებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გაუძღვნენ მეურნეობას, შეიძინონ ტექნიკა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სწორად გამოიყენონ იგი. ეს კი ნიშნავს, რომ აღარ არის საჭირო არსებობდეს მტს-ები მათი წინანდელი ფუნქციებით, რომ გაჩნდა საჭიროება თანდათანობით გარდაიქმნან მტს-ები სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად, რომლებიც მოწოდებული არიან შეაკეთონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანების პარკი, მიჰყიდონ კოლმეურნეობებს მანქანები, სათადარიგო ნაწილები, სასუქები, გაუწიონ მათ ტექნიკური დახმარება.

გაითვალისწინა რა კოლმეურნე გლეხობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა მიიღო ისტორიული დადგენილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“. პლენუმის დადგენილებას, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, ცხოვლად გამოეხმაურნენ საბჭოთა ადამიანები. ცნობები, რომლებიც რედაქციას მოსდის, მოწმობენ, რომ კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მუშათა კლასი და საბჭოთა ინტელიგენცია ერთსულოვნად იწონებენ გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს, რომლებიც პლენუმმა დასახა, და, მხურვალედ განიხილავენ რა ამ საკითხს, აქტიურად ეძებენ იმ კონკრეტული ამოცანების ყველაზე სწორ გადაწყვეტას, რომლებიც გარდაქმნასთან დაკავშირებით წამოიჭრებიან.

მტს-ების დასახული რეორგანიზაცია კიდევ უფრო ფართო გასაქანს მისცემს ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას. ბოლო მოეღება ისეთ არანორმალურ მდგომარეობას, როცა საჭიროება გვაიძულებდა ორი პატრონი გვყოლოდა ერთსა და იმავე მიწაზე. დადგა დრო, როცა კოლმეურნეობებს ეყოლებათ არა მარტო მუშაზელი, ექნებათ არა მარტო მათთვის სამუდამოდ მიჩენილი მიწა, არამედ ტექნიკაც, ესე იგი იმ პირობების მთელი კომპლექსი, რომლებიც საჭიროა მიწათმოქმედების საწარმოო ძალების უსაზღვრო განვითარებისათვის. ახალ და უახლეს ტექნიკას კოლმეურნეობები იყიდიან უშუალოდ სახელმწიფოსაგან. ეს შემდგომ გააძლიერებს ქალაქის კავშირს სოფელთან, შემდგომ განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს. სოფლად სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობაში დაიწყება განვითარების ახალი, უფრო მომწიფებული ფაზა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების ახალი მკაფიო დადასტურებაა. ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, ჩვენი პარტია დღითიდღე განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან, ცხოვრებასთან და შეცვლილი ვითარების შესაბამისად თავის დროზე იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ. ეს არის ძალა ჩვენი დიადი პარტიისა, ძალა და სიცოცხლისუნარიანობა მისი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავენ.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში

4 მარტს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს მორიგი სხდომა. განხილულ იქნა 1958 წლის მარტის, აპრილის და მაისის მუშაობის გეგმა. სხდომის მონაწილეებმა დასახეს კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაშლის, საერთაშორისო კავშირურთიერთობის გაფართოების, შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესების, ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი დახმარების, აგრეთვე საბჭოთა ჟურნალისტების პირველი ყრილობისათვის მომზადების ღონისძიებანი.

ჟურნალისტთა კავშირის კალინინის ოლქის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ვ. ს. ეგოროვმა დამსწრეთ მოახსენა ამ ორგანიზაციის საორგანიზაციო ბიუროს მუშაობაზე. კალინინელი ჟურნალისტები ემზადებიან იმისათვის, რომ განიხილონ მთელი რიგი შემოქმედებითი პრობლემები, როგორიც არის „ნარკვევი საოლქო გაზეთებში“, „ჟურნალისტთა შემოქმედება რადიოსათვის“.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს წევრებმა მ. დ. ოვსიანიკოვამ და ნ. მ. პოტაპოვმა წარმოადგინეს ინფორმაცია ლენინგრადისა და იაროსლავლის ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, სადაც ისინი იყვნენ გაგზავნილი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე კავშირის წევრად მიღებულ იქნა ბელგოროდის, სახალინის, ვოლოგდის, კალინინგრადის ოლქებისა და სტავროპოლის მხარის ჟურნალისტთა ჯგუფები. (საკდესი).

★ ★ ★

მანქანათმშენებლები იწონებენ

სურათზე: საიარაღო-საექსპერიმენტო საამქროს აგიტატორი ვალერიან მანჯგალაძე მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

* * *

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი გულდასმით ეცნობა და მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს კომუნისტური პარტიის ეს ბრძნული გადაწყვეტილება მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებად, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ჩვენი ქარხნის მუშები ყოველთვის დაინტერესებული იყვნენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ბედით, აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიმართული იყო საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ. საგარეჯოს რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს დავიხმარეთ მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში. ჩვენი ქარხანა საფუძველს უწევს აგრეთვე გარეუბნის რაიონის ნორიოს და ბოლნისის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობებს, რომლებსაც ავუშენეთ სამეედლო, სასილოსე კოშკები და სხვა ნაგებობები.

ჩვენ ვიცნობთ სოფელს და უსაზღვროდ კმაყოფილი ვართ, თვალნათლივ რომ ვხედავთ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში მომხდარ გარდაქმნებს, საკოლმეურნეო წარმოებაში მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევებს. კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებით, კოლმეურნეობათა უფლებების გაფართოებით კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შესანიშნავი პირობები შექმნეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისათვის, მიწისა და პირველხარისხოვანი ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის.

ახლა კომუნისტური პარტია უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ეს გარემოება ქარხნის კოლექტივს სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენ მოვალენი ვართ კოლმეურნეობებს მივაწოდოთ უფრო სრულყოფილი მანქანები, დავიხმაროთ ტექნიკის ათვისებაში.

წელს ქარხანა შეუდგა ჩაის საკრეფი მანქანების სერიულ გამოშვებას, ვამზადებთ თვითმავალ უნივერსალურ შასებს, რომლებიც კრეფენ ჩაის მწვანე ფოთოლს, სხლავენ ბუჩქებს, შეაქვთ სასუქი პლანტაციებში, აწარმოებენ კულტივაციას და სხვა სამუშაოებს. მოწინავე ტექნიკით კოლმეურნეობათა აღჭურვის შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა გაიზრდება, კოლმეურნეთა ოჯახებში ბევრი და დოვლათი დაგროვდება.

ქარხნის მუშები მეგობრული დახმარების ხელს გავუწვდით კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ტექნიკით აღჭურვის საქმეში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს მივაწვდით სრულყოფილ მანქანებს, რომ კოლმეურნეთა შრომა უფრო იოლი და მეტი სარგებლობის მომტანი იყოს. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას ჩაის საკრეფი მანქანები და თვითმავალი შასები, ამასთან მნიშვნელოვნად შეამციროს მათი ღირებულება.

ჩვენ, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები ვფიქრობთ, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, ტექნიკის თავმოყრა უშუალოდ კოლმეურნეობათა ხელში ახალი ეტაპია სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ, როგორც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ძირეული გარდაქმნა, ეს ღონისძიებაც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ახალ აღმავლობას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის უშუალო ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერებას, ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილების განმტკიცებას, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას.

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად თვლიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვაში, პარტიის მიერ სოციალისტური სოფლის მეურნეობის გრანდიოზული აღმავლობისათვის დასახული ღონისძიებათა განხორციელებაში.

გ. კველაშვილი,
ს. აბაჯანოვი,
მ. ხეჩუაშვილი,
ა. გაღდასარო-ვი,

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები.

ხუთშაბათი
მექანიზატორთა სიტყვა

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურელ მექანიზატორებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გააცნო ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორმა ამხ. გ. გაგნიძემ.

— პლენუმის დადგენილება, — განაცხადა ბრიგადირმა ნ. ზუბაშვილმა, — დიდი მოვლენაა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის უფრო სრულყოფილად გამოყენებას, სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას. ეს ღონისძიება დროულია, და ამიტომ მხურვალედ ვიწონებ.

ტრაქტორისტმა ს. დევდარიანმა აღნიშნა, რომ ამ დადგენილების განხორციელებით ბოლო მოეღება ერთგვარ ბარიერებს, რომლებსაც ადგილი აქვს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში. ტექნიკის გადაცემა კოლმეურნეობებისათვის უფრო ხელსაყრელია და შრომაც უკეთესად იქნება ორგანიზებული.

პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებები მოიწონეს მექანიკოსმა გ. მუმლაურმა, ხარატმა თ. პანალიდმა, ტრაქტორისტმა თ. მურჯიკნელმა, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. კილაძემ. მათ პირობა დადეს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დადგენილებით დასახული ამოცანების განხორციელებას.

დიდი ღონისძიება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ველისციხელი კოლმეურნეები.

დადგენილების გაცნობის შემდეგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ, სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ მექვეურშვილმა განაცხადა:

— ჩვენი კოლმეურნეები მხურვალედ იწონებენ თებერვლის პლენუმის დადგენილებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცებისათვის. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამიერიდან მეტი შესაძლებლობა გვექნება ტექნიკა უნარიანად გამოვიყენოთ. ჩვენი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 4 მილიონ მანეთს აღწევს, გაიზარდა განუყოფელი ფონდიც. კოლმეურნეობას საშუალება აქვს შეიძინოს ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ეს ღონისძიება დიდად დაგვეხმარება საკოლმეურნეო დოვლათის გამრავლებაში, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებაში.

ჩემი წინადადება

დიდი ყურადღებით წავიკითხე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“. ეს ისტორიული დოკუმენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს მშობლიური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. პარტიის ამ ბრძნული ნაბიჯის მიზანია კიდევ უფრო აამაღლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, დააკმაყოფილოს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მუდმივ მზარდი მოთხოვნილებანი.

უკეთ რომ წარმოვიდგინოთ ამ რეორგანიზაციის დიდი მნიშვნელობა, მოვიყვან ერთ ფაქტს: თერი წყაროს რაიონში არის ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგური — ერთი თვით რაიონის ცენტრში, მეორე — სოფელ ასურეთში. განა უნდა იმას მტკიცება, თუ რა დიდი დრო და საშუალებანი იხარჯება სადგურებიდან სამუშაო ადგილებამდე მანქანების გადასაყვანად და საწვავ-საცხები მასალების გადასატანად? აქ აღარ ვლაპარაკობ იმაზე, თუ როგორ არის გაძნელებული შორ მანძილზე მექანიზატორთა მუშაობისადმი კონტროლი.

მე ვეთანხმები აზრს, რომ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ ტრაქტორები და სხვა მანქანები, მომსახურება გაუწიონ მტს-ების რეორგანიზაციის შედეგად შექმნილმა სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, რომლებსაც ექნებათ სათანადო ტექნიკა.

ვ. ჯმუხაძე,
ასურეთის კოლმეურნეობის წევრი.

ნიკოლოზ მამაის მაგალითით

საგარეჯოელ მეცხოველეთა კარგი წამოწყება

— ნიკოლოზ მამაის მაგალითით შეგვიძლია ვისწავლოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ რძის წარმოების მკვეთრად გადიდების საქმეში.

— მაგრამ როგორ, რა გზით?

ამის შესახებ იყო მსჯელობა თათბირზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა საგარეჯოში.

მომხსენებელმა, პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ნადაშვილმა თქვა: დონბასელმა მეშახტემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. მამაიმ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა. მისი ბრიგადის ცვლის თვითეულმა წევრმა მიაღწია იმას, რომ ყოველდღიურად ამოეღო გეგმის გადამეტებით 1,4 ტონა ქვანახშირი, მთლიანად ბრიგადამ — ორი ტონა. თვითონ ნიკოლოზმა — ორნახევარი ტონა.

რაში მდგომარეობს ამ ინიციატივის ძალა და მნიშვნელობა?

ამის შესახებ თვითონ ნ. მამაი ამბობს: ჩვენ გეგმების შესრულებას ვამოწმებდით უმთავრესად თვის დასასრულს და თითქმის არ ეწეოდა კონტროლი, ყოველდღე თუ რა კეთდებოდა. ამის გამო ჩამორჩენის დაძლევა თვის ბოლოს ხშირად შეუძლებელი ხდება ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გეგმა ძლივს სრულდება. ამიტომ ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვიტა — ყოველმა ცვლამ გეგმა არა მარტო შეასრულოს, არამედ ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს ტონანახევარი ქვანახშირი.

მუშაობის ამ მეთოდის გაცნობამ საგარეჯოელ მეცხოველეებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

— ჩვენ, — აღნიშნა მანავის კოლმეურნეობის მწველავმა გ. ფეიქრიშვილმა, — წველადობის გეგმის შესრულებას თვის ბოლოს ვანგარიშობთ. მართალია, შარშან თოთხმეტი ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მივიღე 1.700 ლიტრი რძე, მაგრამ მეტის მიღებაც შეიძლებოდა. წელს გადავწყვიტე დონბასელი მეშახტის მამაის მაგალითით **ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ერთ ძროხაზე მოვწველო ერთი ლიტრი რძე** და ამ გზით ადგილობრივი ჯიშის 14 ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღო 2.000 ლიტრი რძე ნაცვლად 1.700 ლიტრისა, რასაც აქამდე ვიღებდი.

ეს ინიციატივა მოიწონეს საგარეჯოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა მ. ენგელმა. სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ო. დათუნაშვილმა და ვალდებულება იკისრეს ყოველდღიურად თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღონ ერთი ლიტრი რძე.

საინტერესო სიტყვა წარმოთქვა სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მოწინავე მწველავმა თამარ ოორამაშვილმა, რომელმაც შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღო 230 ლიტრი რძე და პირველი ადგილიც დაიკავა რაიონში. მეორე ადგილი მიეკუთვნა თებრო გოგოჭურს. მან თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მოწველა 203 ლიტრი რძე. ახალი ვალდებულებები იკისრეს ბრიგადირმა ვ. ყუშიტაშვილმა, მწველავმა მარიამ ქისტაურმა და სხვებმა.

სახელოვანი დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მუშაობის მეთოდის ფართოდ დანერგვის მიზნით სართიჭალელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გიორგაშინდელი მეცხოველეები გამოიწვიეს. მათი დევიზია: **თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით მიიღონ ერთი ლიტრი რძე.**

ეს თაოსნობა წინგადადგმული ნაბიჯია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის.

ნ. ჯანჯღავა.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

საგარეჯოელ მეცხოველეთა კარგი წამოწყება

ველდღიურად გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს ტონანახევარი ქვანახშირი.

მუშაობის ამ მეთოდის გაცნობამ საგარეჯოელ მეცხოველეებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

— ჩვენ, — აღნიშნა მანავის კოლმეურნეობის მწველავმა გ. ფეიქრიშვილმა, — წველადობის გეგმის შესრულებას თვის ბოლოს ვანგარიშობთ. მართალია, შარშან თოთხმეტი ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მივიღე 1.700 ლიტრი რძე, მაგრამ მეტის მიღებაც შეიძლებოდა. წელს გადავწყვიტე დონბასელი მეშახტის მამაის მაგალითით **ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ერთ ძროხაზე მოვწველო ერთი ლიტრი რძე** და ამ გზით ადგილობრივი ჯიშის 14 ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღო 2.000 ლიტრი რძე ნაცვლად 1.700 ლიტრისა, რასაც აქამდე ვიღებდი.

ეს ინიციატივა მოიწონეს საგარეჯოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა მ. ენგელმა. სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ო. დათუნაშვილმა და ვალდებულება იკისრეს ყოველდღიურად თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღონ ერთი ლიტრი რძე.

საინტერესო სიტყვა წარმოთქვა სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მოწინავე მწველავმა თამარ ოორამაშვილმა, რომელმაც შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღო 230 ლიტრი რძე და პირველი ადგილიც დაიკავა რაიონში. მეორე ადგილი მიეკუთვნა თებრო გოგოჭურს. მან თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მოწველა 203 ლიტრი რძე. ახალი ვალდებულებები იკისრეს ბრიგადირმა ვ. ყუშიტაშვილმა, მწველავმა მარიამ ქისტაურმა და სხვებმა.

სახელოვანი დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მუშაობის მეთოდის ფართოდ დანერგვის მიზნით სართიჭალელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გიორგაშინდელი მეცხოველეები გამოიწვიეს. მათი დევიზია: **თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით მიიღონ ერთი ლიტრი რძე.**

ეს თაო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

კომუნისტური პარტია ასრულებს

როცა კოლმეურნეობები შეისყიდიან მანქანა-იარაღებს...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებამ „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ ჩემში უსაზღვრო სიხარული გამოიწვია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა საკოლმეურნეო წყობილების განსამტკიცებლად დიდი როლი შეასრულეს. ახლა, როცა კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი შეძლებულია, ნამდვილად საჭირო აღარ არის მტს-ები. გაცილებით მეტი იქნება წარმატებანი, როცა კოლმეურნეობები შეისყიდიან მანქანა-იარაღებს და გამოიყენებენ ისე, როგორც საჭიროდ დაინახავენ. მექანიზატორები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით, მტს-ის დირექცია ერთს გვავალებდა, კოლმეურნეობის გამგეობა კი — მეორეს. თუ რომელიმეს დავალებას არ შევასრულებდით, დავა იმართებოდა. როცა ერთი ხელმძღვანელი გვეყოლება, მუშაობა უფრო სახალისო იქნება.

გასული სამეურნეო წელი ჩემმა ბრიგადამ წარმატებით დაამთავრა. თითქმის ყველა სახეში დავალება გადამეტებით გავანაღდეთ. სამუშაოები რომ უხარისხოდ არ შეგვისრულებია, ამას შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მაჩვენებლები ადასტურებს. კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 34 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად) მიიღო. უხვი იყო ხორბლისა და ყურძნის მოსავალიც. მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ჩემი ბრიგადა ემსახურება, წელსვე შეიძენს მანქანა-იარაღებს. მათ სრული დატვირთვით გამოვიყენებთ. ყველა სახის სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატარებთ, გადაჭარბებით შევასრულებთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმას.

ნ. კუჩდღელაშვილი,

ყვარლის რაიონის ენისლის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

თავდადებით შრომობენ, შეძლებულად ცხოვრობენ

მშრომელთა კეთილდღეობისათვის პატრიოტ ყოველდღიური მზრუნველობის დამადასტურებელია ის გრანდიოზული წარმატებანი, რასაც ჩვენმა ქვეყანამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიაღწია.

ჩვენს ქარხანაში პროდუქციის გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები. შარშან პროდუქციის გამოშვება ერთ მუშაზე 1956 წელთან შედარებით გადიდდა 2,8 პროცენტით, მათ შორის მარტენის საამქროში — 7,1 პროცენტით.

ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გათვალისწინებული 1,5-ის ნაცვლად 2,7 პროცენტს მიაღწია. გაიზარდა შრომის ანაზღაურებაც.

გასული წლის აგვისტოდან ქარხნის ძირითად საამქროებში სამუშაო დღე ერთი საათით შემცირდა, ამასთან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი შემცირების ნაცვლად კიდევაც გადიდდა.

7-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლამდე ქარხნის თვითეული მუშის საშუალო თვიური ხელფასი 900 მანეთს შეადგენდა. მექანიზაციის დანერგვით ახლა ამ თანხამ 1.200 მანეთს მიაღწია.

საწარმოს ბევრი მოწინავე მეტალურგი კიდევ უფრო დიდ ხელფასს იღებს მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად. მაგალითად, ჩქაროსანი მეფოლადე ვ. ჯაბაშვილი თვეში საშუალოდ 2.300 მანეთზე მეტს იღებს, ოსტატი ზ. კვახაძე — 2.200 მანეთს და ა. შ.

ახალგაზრდა ინჟინრებმა ნ. გილაურმა და გ. ხეროდინაშვილმა, რომელთა ხელფასი ყოველთვიურად 2.000 მანეთს აღემატება, „მოსკვიჩის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანები შეიძინეს. მეფოლადე ი. მეტრეველმა თავისი შრომითი დანაზოგით იყიდა ავტომანქანა „პობედა“, ხოლო ორთქლმავლის მემანქანე ვ. ბუიშვილმა ტელევიზორი შეიძინა. ასეთი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება.

სახელოვანმა მეტალურგებმა შრომაც იციან და შეძლებული ცხოვრების ყადრიც. ბევრმა მათგანმა მოკლე ვადაში საუცხოოდ მოაწყო ოჯახი. მტკვრის მარჯვენა ნაპირას ქარხნის ათობით მუშა აგებს საკუთარ კოტეჯებს. ასეთი კოტეჯები უკვე აშენეს მილსაგლინავი საამქროს მუშებმა ვ. გრიგოლაშვილმა, ვ. თურქიშვილმა, რ. ჯიოევმა, მვალცავმა მ. მაისურაძემ, ჩამომსხმელმა ა. შათაქაშვილმა და სხვებმა. მეტალურგთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველწლიურად ისვენებს საბჭოთა კავშირის საუკეთესო კურორტებზე. რუსთავში მათ მომსახურებას უწევს კულტურის დიდი სასახლე, კინოთეატრი „მეტალურგი“ და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

შ. თითბერიძე,

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილე შრომისა და კადრების დარგში.

ARCHEVNEBIDAN ARCHEVNEBAMDE

ფოლადის გამოდნობა

1953 წელთან შედარებით ფოლადის გამოდნობა 1957 წელს გაიზარდა 165,3 პროცენტით. უკანასკნელ წლებში ამუშავდა № 7 და № 8 მარტენის ღუმელები.



ქსოვილების გამოშვება

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მუშაკებმა 1957 წელს 1953 წლის დონესთან შედარებით 240,4 პროცენტით გაადიდეს ქსოვილების გამოშვება.



მაღაროელთა სიამაყე



— „დიდი ხანია, რაც ჩვენ ჭიათურაში შავიქვის მუშები ქედმოხრილნი, ბნელ, ნოტიო, ჭრაქებით ამყრალებულ მაღაროებში 16-17 საათის განმავლობაში ვეწოდით ჯოჯოხეთურ, აუტანელ შრომას და ტანჯვას...

საბედნიეროდ, ყველაფერს საზღვარი ჰქონია... გვეყო ამდენ ხანს სიხუმე, ვერ შეგვაშინებს მხეცი მთავრობა თავისი ხიშტიანი თოფებით, ვერ შეგვაშინებს ეს ურცხვი მთავრობა და ამტომ ჩვენ, მუშებმა, გადავწყვიტეთ შეეუფრთდეთ ჩვენს შეგნებულ, დღეს გაფიცულ ამხანაგებს კავკასიაში, რათა საერთო ძალით დავცეთ თავზარი ჩვენს მძარცველებს და მთავრობას, მოვითხოვოთ დღეგანდელი უკიდურესი მდგომარეობის გაუმჯობესება...“

ეს სტრიქონები დაწერილია 55 წლის წინათ ჭიათურაში. მაშინ აქ მოეწყო პირველი გაფიცვა, და მაღაროელებმა მოწოდებით მიმართეს ჭიათურელ მშრომელებს... ამას მოჰყვა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლის აზვირთება, ი. ბ. სტალინის ჩამოსვლა ჭიათურაში და მაღაროელთა მედგარი გამოსვლები მეფის ტახტის დასალეწად.

ჭიათურელმა მაღაროელებმა გმირული ბრძოლის შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს რევოლუციურ მატიანეში. მათ შემდეგშიც არ უღალატნიათ სახელოვანი ტრადიციისათვის, გარკვეული წვლილი შეიტანეს სოციალისტურ მშენებლობაში.

მაღაროელებმა თავი ისახელეს მარგანეცის მრეწველობის აღდგენისა და განვითარების, მისი პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვის, ჭიათურის შავი მეტალურგიის მძლავრ კერად გადაქცევისათვის ბრძოლაში. ბევრი რამ გაკეთდა და შეიცვალა მარგანეცის ქალაქში საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, მშობიერი პარტიის მზრუნველობით. ყოველივე ამით ამაყობენ მაღაროელები.

მარტო უკანასკნელ ოთხ წელიწადში მარგანეცის სასაქონლო მადნის დამზადება 24 პროცენტით გაიზარდა, სამრეწველო-საყოფაცხოვრებო მშენებლობებზე ათვისებულია 207 მილიონი მანეთი.

გასული წლის იელისში პირველი ელექტრომავალი და ფართოლიანდაგიანი გზით პირველი სახალხო მატარებელი შემოვიდა ჭიათურაში.

შარშანდელი აგვისტო კიდევ ერთი ახალი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა მარგანეცის ქალაქში — მწყობრში ჩადგა მაღარო „ახალი ითხვისი“ და მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგი.

მარგანეცის ქალაქში რამდენიმე წელია მუშაობს სახალხო საჰაეროსაბაგირო გზა, რომელიც ქალაქს სტალინის სახელობის მაღაროსთან აკავშირებს. ეს გზა, რომელიც აგებულია ინჟინერ გ. ფანცულაიას პროექტით, პირველია საბჭოთა კავშირში.

ქალაქში აშენდა საავადმყოფო, საშუალო სკოლა. ამავე სკოლაში მოთავსებულია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების საწავლო - საკონსულტაციო პუნქტი, სადაც საშასამდე მაღაროელი სტუდენტი სწავლობს.

მაგრამ ინდუსტრიულ ჭიათურას უფრო ფართო პერსპექტივები ესახება და მაღაროელებსაც უფრო მეტი რამ ეკნებათ სასიხარულო საამაყო. მარტო წელს ახალმშენებლობებზე დაიხარჯება 150 მილიონი მანეთი, აშენდება 20.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები.

უახლოეს წლებში ჭიათურაში ახალმშენებლობებზე დაიხარჯება 700 მილიონი მანეთი. აშენდება ახალი ფაბრიკები და მაღაროები, აიგება 130.000 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ჯ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა (პირველი და მეორე რიგი).

ფაქტები მეტყველებენ

★ განუხრელად ვითარდება საქართველოს მრეწველობა ომისშემდგომ წლებში. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1957 წელს 1940 წელთან შედარებით სამჯერ გადიდდა. საერთო პროდუქციის მოცულობამ გასულ წელს შეადგინა 14 მილიარდ 558 მილიონი მანეთი, ანუ 2 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

★ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1957 წელს შეადგენდა 1 მილიარდ 797 მილიონ მანეთს, რაც 230 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს.

★ რუსთავის მებრძოლეებმა 1957 წელს თითქმის ხუთნახევარჯერ მეტი თუჯი გამოადნეს, ვიდრე 1954 წელს.

★ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგა ტყიბულის, ზაორის, გუმათის მეორე, ბუუის ჰიდროელექტროსადგურები, გადიდდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე. 1957 წელს 1953 წელთან შედარებით რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 37,3 პროცენტით.

★ მარტო გასულ წელს საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა მწყობრში ჩადგა: ქობულეთის № 2 ჩაის ფაბრიკა, ორბელის ღვინის ქარხანა ცაგერის რაიონში და ხირსის ღვინის ქარხანა სიღნაღის რაიონში, ახმეტის კარაქის ქარხანა და სხვ.

★ წლითიწლობით იზრდება რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტი. უკანასკნელ წლებში განხორციელდა ცხაკაია-ხოხუმ-სოჭის რკინიგზის ხაზის ელექტროფიკაციის სამუშაოები. შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა ზესტაფონ-ჭიათურა-დარკვეთის ელექტროფიცირებული ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი.

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტი

წლითიწლობით იზრდება და ვითარდება საქართველოს ეკონომიკა და კულტურა თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში. ასევე განუხრელად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტიც. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები ხმარდება საქართველოს ეკონომიკის მრავალფეროვანი დარგების შემდგომ განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელ ზრდას.

1954 წელს, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნები გაიმართა, საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტი 2 მილიარდ 775 მილიონ 186 ათას მანეთს შეადგენდა. 1957 წელს კი რესპუბლიკის ბიუჯეტმა 3 მილიარდ 643 მილიონ 716 ათასი მანეთი შეადგინა.

კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტი 1958 წელს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ დაამტკიცა 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 5 მილიარდ 356 მილიონ 815 ათასი მანეთის ოდენობით.

წელს დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს სახალხო მეურნეობის წინაშე. ამ ამოცანების განსახორციელებლად ბიუჯეტით მილიარდობით მანეთის დახარჯვაა გათვალისწინებული.

1954 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ბიუჯეტით და საწარმოთა სახსრებიდან გამოყოფილი იყო 1 მილიარდ 384 მილიონ 464 ათასი მანეთი. წელს კი ამავე მიზნით გამოყოფილია 2 მილიარდ 282 მილიონ 174 ათასი მანეთი, ანუ თითქმის 900 მილიონი მანეთით მეტი 1954 წელთან შედარებით.

ამ სახსრებიდან ასეულ მილიონობით მანეთი დაიხარჯება რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების, მათ შორის მეტალურგიის, ქიმიური, ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთობის, ენერგეტიკული და მანქანათსამშენებლო მრეწველობის განვითარებაზე.

გასულ წელს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის ბიუჯეტში. საქართველოს სსრ 1958 წლის ბიუჯეტით მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა შემდგომი მძლავრი განვითარების უზრუნველსაყოფად. სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის მიხედვით რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება 7,1 პროცენტით 1957 წელთან შედარებით.

საქართველოში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კვების, საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობას. ამ დარგების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად ბიუჯეტით ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტია გამოყოფილი.

დიდი თანხებია გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის, კერძოდ, საბინაო მშენებლობის 1958 წლის გეგმების განსახორციელებლად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ამოცანები დასახეს 1958 წელს სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარებისათვის. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წელს ასეულ მილიონობით მანეთი დაიხარჯება.

კიდევ უფრო დიდი სახსრებია გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამ მიზნით 1958 წლის ბიუჯეტით გამოყოფილია 2 მილიარდ 734 მილიონ 390 ათასი მანეთი, რაც 968 მილიონ 104 ათასი მანეთით აღემატება 1954 წლის ბიუჯეტით ამავე დანიშნულებისათვის გათვალისწინებულ თანხას. ეს სახსრები მოხმარდება განათლებისა და კულტურის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის შემდგომ განვითარებას, აგრეთვე გამოყენებულ იქნება პენსიებისა და დახმარების გასაცემად.

სულ უფრო ვითარდება და წინ მიდის საქართველოს მეცნიერება და ტექნიკა. ამასთან დაკავშირებით 1958 წელს საგრძნობლად იზრდება ასიგნობანი ბიუჯეტიდან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა შენახვაზე და სამეცნიერო მუშაობის განვითარებაზე. ამ დანიშნულებით რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 206,5 მილიონი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით მეტია 40,1 მილიონი მანეთით.

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობის ყოველწლიური ზრდა, ამ ბიუჯეტის მონაცემები და ციფრები იმის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

აგიტატორის საუბარი

პარტიის სიტყვა მტკიცე სიტყვაა

ლენინის რაიონი — მსხვილი სამრეწველო ცენტრი, თბილისის სიამაყე!

ვინ მოთვლის, რამდენი ცვლილება მოხდა აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე. ორმაღლის დასახლებაში წელს ორი ახალი საარჩევნო უბანი შეიქმნა. ერთ-ერთი ახალი, № 4 საარჩევნო უბნის ცენტრი მოთავსებულია მე-15 საშუალო სკოლის ოთხსართულიან შენობაში, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში გადაეცა საექსპლოატაციოდ.

ოთხი წლის წინათ ტერიტორიაზე, სადაც ახალი საარჩევნო უბანია შექმნილი, მხოლოდ რამდენიმე ათეული მოსახლე ცხოვრობდა, ამჟამად კი № 4 საარჩევნო უბანში 1.500-ზე მეტი ამომრჩეველია.

ახალ საარჩევნო უბანში არის რამდენიმე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კვარტალი, მუსიკალური სასწავლებელი, საბავშვო ბაღი, სავაჭრო ობიექტები და სხვ.

ჩარგლისა და მუხრანის ქუჩების კუთხეში სამსართულიან ახალ საცხოვრებელ სახლში ამ დღეებში შესახლდნენ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები.

ამ ქარხნის მოწინავე ზეინკალი შოთა ფირცხალავა და მისი ახალდაქორწინებული მეუღლე ნაზი ხეთაგური ის იყო ბინაში შეზიდული ავეჯისა და ოთახის დალაგებას მორჩნენ, რომ პირველ სტუმრად მათ № 4 საარჩევნო უბნის აგიტატორი თინა ჭინჭალეიშვილი ეწვიათ. აქ თავი მოიყარეს ახალმობინადრე დიასახლისებმა. თ. ჭინჭალეიშვილმა მათ ახალ ბინებში შესახლება მიულოცა და შეუდგა მორიგ საუბარს თემაზე: „პარტიის სიტყვა მტკიცე სიტყვაა“.

— ამხანაგებო! — დაიწყო აგიტატორმა, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებისას კომუნისტურმა პარტიამ დასახა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული ამოცანები. პარტია ამომრჩევლებს დაპირდა, რომ უზრუნველყოფდა როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ აღმავლობას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. პარტიამ თქვა და წარმატებითაც შეასრულა ბრძნული წინასწარდასახულობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამოქვეყნებულ მიმართვაში ყველა ამომრჩეველისადმი ამომწურავი სიცხადით არის ნაჩვენები ის გრანდიოზული მიღწევები, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მიაღწია.

კიდევ უფრო დიდი პერსპექტივებია დასახული მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

— ამ მხრივ დამახასიათებელი მაგალითები ჩვენი რაიონის ცხოვრებაშიც მრავალია, — ჩაერია საუბარში დიასახლისი ს. გაბროშვილი.

— მართალია, — დაუდასტურა აგიტატორმა, — მარტო უკანასკნელი 4 წლის მანძილზე თბილისის ლენინის რაიონის მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა 6 ახალი ქარხანა და 2 ფაბრიკა, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორიც არის ელექტროგამშვები, რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა და სხვ. ამჟამად რაიონის საწარმოები 250 სახეობის პროდუქციას უშვებენ. აქედან 130 სახეობის პროდუქციის წარმოება უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იქნა ათვისებული.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ბაზაზე შარშან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანა, რომლის კოლექტივმა წარმატებით აითვისა და უკვე უშვებს ჩაის მწვანე ფოთლის საკრეფ მანქანებსა და სამთო ტრაქტორებს.

— რაიონში წარმატებით მიმდინარეობს, — განაგრძობს აგიტატორი, — სატრიკოტაჟო, აბრეშუმსაქსოვი, ავეჯის, მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკების, სამარკო ღვინოების ქარხნისა და მრავალი სხვა ახალი საწარმოს მშენებლობა.

ყოველივე ამაზე საბჭოთა სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს, რათა საბოლოო ანგარიშით მშრომელები უკეთ ცხოვრობდნენ, რომ ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე განუწყვეტლივ მაღლდებოდეს. ამ მიზნის განუხრელი განხორციელება პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია.

კომუნისტური პარტიის მუდმივი საზრუნავია მშრომელების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ბინებით. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩვენს რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა 18 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

— დიდად სასიხარულოა, რომ ამ ბოლო ხანებში სულ უფრო მეტი გაქანება ეძლევა საბინაო მშენებლობას, — ამბობს დიასახლისი ელენე პრესკოტინა.

—დიახ, საბინაო მშენებლობა სულ უფრო ძლიერდება,—დაასკვნის აგიტატორი, — ლენინის რაიონი ამის საუკეთესო მაგალითია. ჩვენი საარჩევნო უბნის პირდაპირ ყველა თქვენგანი შენიშნავდა ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლს. ეს შენობა, რომლის საერთო ფართობი 1.000 კვადრატულ მეტრზე მეტია, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშებმა მოკლე ვადაში საკუთარი ძალებით ააგეს და მალე კიდევაც შესახლდებიან შიგ.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ლენინის რაიონში აშენდა ორი ახალი აბანო, ორი აფთიაქი, პოლიკლინიკა, რაიონის პიონერთა სახლი, ორდარბაზიანი კინოთეატრი 600 ადგილით, ახალი საზაფხულო კინოთეატრი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, მუშათა 6 კლუბი, აგრეთვე სკოლებისა და საბავშვო ბაღების კეთილმოწყობილი შენობები. 4 კილომეტრზე მოემატა ტრამვაის ხაზს, ძნიშვნელოვნად გაფართოვდა წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, კეთილმოწყობილ იქნა 28 ქუჩა.

ოთხი წლის წინათ თავის საარჩევნო მიმართვაში პარტიამ თქვა, ახლო მომავალში კიდევ უკეთ ეცხოვრებთო. პარტიის ეს დაპირება შესრულდა. ამას ნათლად მოწმობს თვითეული ჩვენგანის ცხოვრება. შორს რომ არ წავიდეთ, აი თუნდაც ჩვენი დღევანდელი მასპინძლის შოთა ფირცხალავას ოჯახი ავიღოთ. დიდი ხანი არ არის, რაც ეს ოჯახი შეიქმნა, და აი ხომ ხედავთ, უკვე შეუძენია ძვირფასი ავეჯი. ამ ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ორი ათას მანეთს აღემატება.

დასასრულ აგიტატორმა დიასახლისებს ვრცლად გააცნო ლენინის რაიონის ზრდისა და განვითარების პერსპექტივები, მაღალი შრომითი მაჩვენებლები, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის საწარმოთა კოლექტივები აღწევენ. აგიტატორმა მსმენელებს უთხრა, რომ იანვრისა და თებერვლის დავალებანი რაიონის ყველა საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა.

— თვითეული ჩვენგანი ღრმად არის დარწმუნებული, — განაცხადა აგიტატორის საუბრის შემდეგ დიასახლისმა ნ. ხეთაგურმა,—რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საარჩევნო მიმართვაში დასახული ახალი დიდი ამოცანები წარმატებით განხორციელდება.

გ. გელაშვილი.

* * *

სურათზე: აგიტატორი თ. ჭინჭალეიშვილი ამომრჩევლებს ესაუბრება.

თავის დაპირებას ხალხისადმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

★ ★ ★ ქართული ლიტერატურის აღმავლობა

უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო ქართულ პროზას. გამოქვეყნდა მთელი რიგი რომანები და მოთხრობები, რომლებშიც მეტნაკლები მხატვრული დამაჯერებლობითა და სიძლიერით ასახულია თანამედროვეობა, დასმულია სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

პირველ რიგში აღსანიშნავია კონსტანტინე გამსახურდიას დიდი მოცულობის რომანი „ვაზის ყვავილობა", რომელიც ქართული ლიტერატურის კარგ შენაძენს წარმოადგენს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავის ახალ რომანში „ნატვრის თვალი", რომლის პირველი ნაწილი უკვე გამოქვეყნდა, წარმოგვიდგენს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას იმ ამოცანების ასპექტში, რომლებსაც პარტია ამჟამად სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე აყენებს.

საკოლმეურნეო ცხოვრება ფართოდ არის ასახული თ. დონაშვილის რომანში „ალაზანზე", რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივში", ო. ჩხეიძის „ჯებირში", ალ. მეიშვილის ახალ რომანში „მაღალი ტალღა" და სხვ.

ქართულ პროზაში საგრძნობ ხარვეზს ქმნიდა ის გარემობა, რომ მასში არ იყო ასახული საქართველოს მუშათა კლასის გმირული ბრძოლა. ამ ხარვეზს ავსებს უკანასკნელ წლებში დაწერილი და გამოქვეყნებული ნაწარმოებები, როგორიც არის ა. ბელიაშვილის „რუსთავი", ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი", დ. შენგელაიას მოთხრობები ტყიბულის მეშახტეებზე, ს. თავაძის „დაუვიწყარნი" და სხვ.

ს. კლდიაშვილმა დაასრულა თავისი ახალი მოთხრობა „მყუდრო სავანე". მოთხრობაში ასახულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები და ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა.

შალვა დადიანის რომანში „გვირგვილიანების ოჯახი" ფართოდ არის ასახული 1905 წლის რევოლუციამდელი ვითარება. გამოიცა გ. აბაშიძის ისტორიული რომანის „ლაშარელას" პირველი ნაწილი. ნაწარმოებში კუთვნილი ადგილი აქვს დათმობილი ხალხის ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ. იბეჭდება კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის" მეოთხე ნაწილი. მალე გამოვა ლ. გოთუას ისტორიული რომანი „გმირთა ვარამი".

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც გასწია ლ. ქიაჩელმა თავის რომანის „მთის კაცის" და ა. ქუთათელმა — „პირისპირის" საფუძვლიანად გადაკეთებაზე.

ჩვენი პრესის ფურცლებზე კარგი შეფასება მიიღო ა. ლომძის წიგნმა „ნალები და ყვავილები", რომელიც საბჭოთა ადამიანების მაღალ თვისებებს, მათ მდიდარ ბუნებას უმღერის. უკანასკნელ ხანს პროზაში ინტენსიურად მუშაობს გიორგი ნატროშვილი. ს. მთვარაძის ახალი მოთხრობა „ორი ფალავანი" მნიშვნელოვანია როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრული შესრულებითაც.

აღსანიშნავია დ. სულიაშვილის მოგონებები, რომლებშიც ცოცხლად და საინტერესოდ არის გადმოცემული ავტორის შეხვედრები ვ. ი. ლენინთან.

საგრძნობლად გააცხოველეს შემოქმედებითი მუშაობა ქართული პროზის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც არიან ბ. ჩხეიძე, ელ. ზედგინიძე, გ. შატბერაშვილი და სხვ. მრავალი ახალი მოთხრობა შესძინეს ქართულ პროზას მ. ასათიანმა, კ. გოგიავამ, გ. ჩიქოვანმა, ა. ჩაჩიბაიამ, ახალგაზრდა მწერლებმა ე. ყიფიანმა, ე. მაისურაძემ, თ. გოგოლაძემ და სხვ.

გამოქვეყნდა აგრეთვე მთელი რიგი საბავშვო მოთხრობები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ი. ურჯუმელაშვილის „სუვოროველები", მარიჯანის „გელა" და სხვ.

მრავალი ღირსშესანიშნავი ლექსი შექმნეს უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველმა მოწინავე პოეტებმა გ. ტაბიძემ, ი. აბაშიძემ, გ. ლეონიძემ, კ. კალაძემ, ა. მირცხულავამ, რ. მარგიანმა, გ. აბაშიძემ, ა. გომიაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ი. ნონეშვილმა, ო. ჭელიძემ, თ. ჯანგულაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, ა. შენგელიამ, ა. სულაკაურმა და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. აბაშიძის ახალი ლექსების ციკლი ინდოეთზე, გიორგი ლეონიძის ლირიკული ლექსები და პოემა „მზის ქვეყანა", რომლის თარგმანიც „პრავდის" ფურცლებზე დაიბეჭდა, ს. ჩიქოვანის, ი. ნონეშვილის ლირიკული ლექსები და ხ. ბერულავას ლექსები. ამ ლექსების მთავარი თემაა ხალხთა მეგობრობა, პატრიოტიზმი, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, სიყვარული, მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ნაყოფიერად მუშაობენ პოეტები მ. ბარათაშვილი, მ. ლებანიძე, შ. ამისულაშვილი, კ. ბობოხიძე და სხვ.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად დაწინაურდნენ და თავიანთი პოეტური სახე გამოავლინეს მთელმა რიგმა ახალგაზრდა პოეტებმა, მათ შორის უნდა დავასახელოთ მ. მაჭავარიანი, ა. კალანდაძე, ნ. შამანაძე, შ. ლომსაძე, ო. შალამბერიძე, ა. ბეგაშვილი. თ. ჭილაძე, მ. კახიძე, ნ. კილასონია, ნ. გურეშიძე, ა. გეწაძე, ს. არღუნელი, ლ. სულაბერიძე, მ. ფოცხიშვილი, შ. ნიშნიანიძე და სხვები.

ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო კრიტიკულ აზროვნებას, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას. გამოქვეყნდა ბ. ჟღენტის, მ. დუღუჩავას, პ. ინგოროყვას, ლ. კალანდაძის, დ. ბენაშვილის, შ. რადიანის, ს. ჩიქოვანის, ს. ჭილაიას, ე. ქარელიშვილის, გ. ნატროშვილის, პ. ბახტურიძის, გ. ხუხაშვილის, ვ. ბაიაძის, ზ. ჭუმბურიძის, გ. მარგველაშვილის და სხვათა კრიტიკული სტატიები, რომლებშიც გაშუქებულია როგორც კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებები, ისე თეორიული ხასიათის საკითხები. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა მაინც ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელიც მარტის მეორე ნახევარში გაიმართება მოსკოვში. ქართველი მწერლები დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ემზადებიან დეკადისათვის.

ქართველი მწერლები ფართოდ გამოხმაურნენ ისტორიულ დოკუმენტს „ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის ხალხის ცხოვრებასთან", რომელშიც მოთავსებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების შესახებ, ერთხმად მიესალმნენ აღნიშნულ დოკუმენტს და დაგმეს სოციალისტური რეალიზმის რევიზიის ყოველგვარი ცდა. თქმა არ უნდა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის ეს პარტიული დოკუმენტი კიდევ უფრო გააცხოველებს ქართველი მწერლების შემოქმედებას და ხელს შეუწყობს ისეთ მაღალიდეურ და მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც დაეხმარებიან საბჭოთა ხალხს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

შალვა აფხაიძე.

★ ★ ★ ალაზნის ჩირაღდნები



ფაქტები მეტყველებენ

★ **საქართველოს სოფლის მეურნეობა მკვეთრი ალმავლობის გზით მიდის. 1958 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, აგრეთვე ხორცის, მატყლისა და რძის წარმოება. სიმინდის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 1958 წლის 8,8 ცენტნერიდან 1957 წელს გაიზარდა 12,3 ცენტნერამდე.**

★ **მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკამ მიიღო 108 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათ შორის 1.071 ტრაქტორი, 745 კომბაინი, 3.500-მდე სატვირთო და მსუბუქი მანქანა, აგრეთვე 500 ათას ტონამდე მინერალური სასუქები.**

★ **1954 წელს მეცხოველეობისათვის დამზადდა 354 ათასი ტონა სილოსი, ხოლო 1957 წელს — 945.800 ტონა.**

★ **რესპუბლიკაში ხეხილის ბაღების საერთო ფართობი 1953 წელთან შედარებით 1957 წლისათვის გაიზარდა 15,8 პროცენტით. ამავე პერიოდში ვენახების საერთო ფართობი გადიდდა 21,1 პროცენტით.**

★ **გასულ წელს შეიქმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.**

★ **გასულ ოთხ წელიწადში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა გამოუშვეს 56.862 სპეციალისტი.**

★ **1954-1957 წლებში დიდად გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამ პერიოდში ახლად გაიხსნა 524 მასობრივი ბიბლიოთეკა და 72 საკლუბო დაწესებულება.**

★ **გასულ წელს ექსპლოატაციაში შევიდა თბილისის სატელევიზიო სადგური.**

ეს იყო . დაახლოებით ოცდაჩვიდმეტი წლის წინთ, 1920 წლის ნოემბერში. მოსკოვის ოლქის ვოლოკოლამსკის რაიონის სოფელ კაშინოში ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნით ჩავიდა მშრომელთა დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. მან მონაწილეობა მიიღო ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი საოფლო ელექტროსადგურის გახსნაში.

— თქვენ ხედავთ, რომ თქვენი სოფელი კაშინო ელექტრობას უშვებს. ეს მხოლოდ ერთი სოფელია. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მთელ ქვეყანას აშუქებდეს ელექტროჩირაღდნები. ელექტრობა დაგვიმუშავებს მიწას, წაგვიყვანს და წამოგვიყვანს, — ეუბნებოდა ბელადი კაშინელ გლეხებს. შემდეგ ლენინმა უამბო მშრომელებს იმ ბეგემბეზე, რომლებსაც მაშინ კომუნისტური პარტია ამუშავებდა ქვეყნის ელექტროფიკაციის მიზნით.

იმ ჰიდროელექტროსადგურებს შორის, რომლებიც ოცდაათიან წლებში ლენინური გეგმით ხორციელდებოდა, ალაზანჰესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ალაზანჰესი შენდებოდა მშრომელთა საკუთარი ხელით — მუშა-მოსამსახურეთა შაბათობებით, კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით. მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ შრომა. ის ადგილები, სადაც ახლა ალაზანჰესის სათავე ნაგებობებია, წინათ მალარიის ბუდეს წარმოადგენდა. მექანიზმები არ იყო, მაშინდელი სამშენებლო ტექნიკით შორს ვერ წახვიდოდი. მაგრამ ადამიანებმა, რომლებსაც შრომაში აღაფრთოვანებდათ ნათელი მიზანი და პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა, რამდენიმე წელიწადში წარმატებით დაძლიეს ყველა სიძნელე და საბჭოთა კავშირში ყველაზე მძლავრი საოფლო ჰიდროელექტროსადგური ჩააყენეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამსახურში.

ალაზანჰესი! რამდენი რამის მთქმელია ეს სიტყვა გურჯაანელი მშრომელებისათვის! მაგრამ რატომ მარტო გურჯაანელი მშრომელებისათვის! ალაზნის ჩირაღდნები ხომ კაჯრეთში, სიღნაღსა და კახეთის სხვა რაიონებშიც აენთნენ.

გურჯაანელებმა არა მარტო კახეთში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაშიც პირველად განახორციელეს რაიონის მთლიანი ელექტროფიკაცია.

ელექტროენერგია გამოყენებულია აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში, მშენებლობებზე, წყალსაქაჩავებზე. ალაზანჰესის ელექტროენერგიის ბაზაზე მუშაობს ბაგირის, საკონსერვო და ღვინის ქარხნები, რამდენიმე ათეული წისქვილი და სახერხი ქარხანა.

ელექტრობა ფართოდ დამკვიდრდა გურჯაანელ მშრომელთა ოჯახებში. ჩუმლაყელ, ვაზისუბნელ, ბაკურციხელ, ველისციხელ კოლმეურნეთა ოჯახებში ნახავთ მაცივრებს, მტვერსასრუტებს და სხვ., რომლებსაც ელექტრობა ამუშავებს.

ლენინი იმზე ოცნებობდა, რომ მშრომელებს ელექტრობის ტექნიკურად გამოყენების ცოდნა მიეღოთ. გურჯაანის რაიონის სოფლებში არა მარტო ელექტრობის გამოყენებაა ეიცარ, არამედ რადიოს და ტელეფონის ფასიც ისწავლეს. ყველა სოფელშია რადიო და ტელეფონი. უფრო მეტიც. სამ სოფელს — შრომას, ვაზისუბანსა და კარდანახს საკუთარი საოლმეურნეო რადიოკვანძები აქვთ, ხოლო ვაზისუბანს — სატელეფონო ქსელიც. ტელეფონები დადგმულია ამ სოფლის კოლმეურნეობის ყველა ფერმაში, ბრიგადირებისა და სპეციალისტების ოჯახებში.

გ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

* * *

რა პროცესი არ სრულდება ელექტროენერგიის საშუალებით გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში! ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოწინავე ხარატს ვ. ქოროლლიშვილს, რომელიც სახარატო ჩარხზე ამუშავებს ტრაქტორის დეტალებს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

კოლმეურნეთა სანლებში ბედნიერება და სიხარულია

ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთი მსხვილი და მრავალდარგოვანი მეურნეობაა რესპუბლიკაში. მის სიმდიდრეს შეადგენს ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, დაფნის და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ბაღები და პლანტაციები, მაღალპროდუქტიული მეცხოველეობა.

ახალშენის კოლმეურნეობის შეძლებულობაზე, მის სიმდიდრესა და ბარაქაზე, კოლმეურნეთა მაღალნაყოფიერ შრომაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ არტელის ფულადმა შემოსავალმა შარშან 7 მილიონ 150 ათას მანეთს გადააჭარბა. ამასთან შრომადღის ღირებულებამ ფულად 26 მანეთსა და 51 კაპიკს მიაღწია.

თუ რაოდენ დიდი ცვლილებები მოხდა კოლმეურნეობაში განვლილი 4 წლის მანძილზე, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს.

1953 წელს კოლმეურნეობამ მიიღო 5 მილიონ 800 ათასი მანეთის შემოსავალი, აქედან ჩაის კულტურიდან 5 მილიონი მანეთი. იმავე წელს არტელის ძირითადმა საწარმოო საშუალებებმა შეადგინა 9 მილიონ 800 ათასი მანეთი, ამჟამად კი 11 მილიონ 100 ათას მანეთს უდრის.

ოთხი წლის მანძილზე სამეურნეო დანიშნულების მშენებლობებზე ათვისებულია 6 მილიონ მანეთზე მეტი. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოში უმძლავრესი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური „მაჭახელჰესი", მეცხოველეობის ფერმა 110 სული პირუტყვისათვის, მეღორეობის ფერმა, საწიწილე, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები შენობა, 7 სასილოსე კოშკი, 4 კაპიტალური საწყობი, ფურნე, სასოფლო საავადმყოფო, გარაჟი 9 ავტომანქანისათვის, ბავშვთა ბაგა, 6 კაპიტალური ფარდული და სხვ. მშენებლობის პროცესშია კულტურის სახლი. ჩვენი სოფელი პატარა დაბას მოგაგონებთ. ახალშენი მთლიანად რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებულია, თითქმის ყოველდღე უჩვენებენ კინოსურათებს.

ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობაში განუხრელად იზრდება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი, განსაკუთრებით კი მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ყოველივე ამან განაპირობა კოლმეურნეობისა და მისი წევრების შეძლებულობა. 1953 წელს მოკრეფილი 577 ათასი კილოგრამის ნაცვლად შარშან ახალშენელმა კოლმეურნეებმა დაამზადეს 711 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულია 4.800 კილოგრამი, რაც 700 კილოგრამით სჭარბობს 1953 წლის მოსავლიანობის დონეს.

ასევე გაიზარდა ციტრუსოვანთა, ტუნგოს და ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობაც. 1953 წელთან შედარებით 9 ცენტნერით გადიდდა სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. სწრაფ აღმავლობას განიცდის მეცხოველეობა.

კოლმეურნეობის ოქროს ფონდს შეადგენენ სახელოვანი მეჩაიეები და მეცხოველეები, მეციტრუსეები და მესიმინდეები — უხვი მოსავლისა და მაღალი პროდუქტიულობის ოსტატები — ჩაის მკრეფავები გულიზარ კახიძე, მარიამ მაკრიდი, ნაზიკო დავითაძე, ზინა ბერიძე, სოციალისტური შრომის გმირი მარიკა პარასკევოპულო, ფენია ხარიტიდი, მწველავები ემინე ლორთქიფანიძე, ფენია ქერიდი, ვესილე ბერიძე, მეღორეები ციალა დუმბაძე და ცუცა ორაგველიძე, მეფრინველე სულეიმან შარაძე და სხვები.

საკოლმეურნეო დოვლათის ზრდამ ხვავითა და ბარაქით აავსო ახალშენელ მშრომელთა ოჯახები. მარტო ამ ოთხი წლის განმავლობაში ასამდე კოლმეურნემ აიგო ახალი ორსართულიანი კაპიტალური სახლი და ძვირფასი ავეჯით დაამშვენა იგი.

ავიღოთ თუნდაც მეფრინველე სულეიმან შარაძის ოჯახი. კოლმეურნეობის ბიუჯეტთან ერთად გაიზარდა ამ ოჯახის, ისევე როგორც სხვა ახალშენელ კოლმეურნეთა ოჯახების, ბიუჯეტიც. შარშან შარაძეებმა 1.400 შრომადღე გამომუშავეს და ფულად მიიღეს 34.200 მანეთი, ხოლო ნატურით სამ ტონაზე მეტი მარცვლეული.

ეს გამონაკლისი როდია. ასევე თავდადებით იმუშავეს გასულ წელს და 25-30 ათას მანეთზე მეტი მიიღეს შრომადღეებზე კ. ქერიდის, შ. ბერიძის, ი. ბოლქვაძის, ხ. პაპაიანიდის, ს. მიხაილიდის და სხვათა ოჯახებმა.

ბედნიერება და სიხარულია ახალშენელ კოლმეურნეთა სახლებში. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა 16 მარტს ერთსულოვნად გამოცხადდნენ საარჩევნო უბანში და ერთხმად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ვ. აბესლამიძე,
ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი ბუხგალტერი.

არჩევნებიდან არჩევნებამდე

ჩაის მწვანე ფოთოლი

საქართველოს მეჩაიეებმა 1957 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 108.380 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 1953 წლის 107.000 ტონისა.



ფველადოგის ზრდა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 1957 წელს მიღებულია 1.002 კილოგრამი რძე ნაცვლად 1953 წლის 486 კილოგრამისა.



სოფელმა სახე იცვალა

სადგურ ინგირამდე ჯერ კიდევ ორი გაჩერება იყო. ნოდაო ქიონა ჯუბედან გამოვიდა და ვაგონის კიბეზე დადგა კარებთან. გამცილებელი ამაოდ უყვიროდა: „შემოდი, ეაგონში შემოდი, ამხანაგო!" ნოდარს არაფრის მოსმენა არ სურდა. იდგა უძრავად და ცივი ქარისთვის მიეშვირა გულმკერდი. ბოლოს გამცილებელმა გაკვირვებით შეხედა მას და მოშორდა.

ნოდარის ელიმებოდა. რა იცის ამ კაცმა, რა ჩიტები უფრთხიალებენ ნოდარს გულში, თორემ ეს კი არა და გაქანებული მატარებლიდან რომ ისკუბოს და გადახტეს, იქნებ არც ეს გაუკვირდეს. ოთხი წლის შემდეგ პირველად ხედავს კაცი საქართველოს მთებსა და ველებს. პირველად ესმის დედაენაზე საუბარი, სადღაც, აქ სულ ახლოს არის მისი მშობლიური სოფელი, სადაც ფეხი აიდგა და დავაკაცდა, სადაც თანშეზრდილი მეგობრები, სახლიკაცები და მეზობლები ეგულება, სადაც საბედო და ბედისსწორი ელოდება. მოდი და თუ ვაკაცი ხარ, მშვიდად იჯექი ამის შემდეგ შენს ადგილზე კუბეში.

უკვე ბინდდებოდა, ინგირში რომ ჩამოხტა. ვიღაცამ უთხრა, ეს არის ავტობუსი წავიდა სოფელ ოქტომბრისკენო.

— ავტობუსი, რომელი ავტობუსი? — გაიკვირვა ჭაბუამ.

— ახლახან დანიშნეს, შვილო. გეტყობათ, თქვენ დიდი ხანია არ ყოფილხართ ამ მხარეს.

ჰო, ეს კი მართალია, რომ არ ყოფილა. მაგრამ ამას მაინც არ მოელოდა. ავტობუსი კი არა, ამ ოთხი წლის წინთ საბარგო მანქანებიც ძლივს დადიოდნენ სოფლის ოღრო-ჩოღრო გზებზე.

მაშ სპეციალური მარშრუტი დაუნიშნავთ, არა? ეს ძალიან კარგი. მაგრამ ამჯერად ნოდარს ქვეითად წასვლა ურჩევნია, გზადაგზა გადახედავს მიდამოს, დაათვალიერებს სოფელს.

მიჰყვებოდა ჭაბუკი მშობლიური სოფლისკენ ფართო გზატკეცილს, და რაღაც უცნაური გრძნობა იპყრობდა. მისი გული სიხარულით იყო სავსე, მაგრამ სადღაც ნაღველიც ჩაეწვეთებოდა დროდადრო. სიხარულს ჰგვრიდა ყოველი ნაცნობი კორდის, ხისა თუ ბუჩქის დანახვა, ხოლო, როცა წარმოიდგენდა, რომ საკუთარი სახლის კარი გამოკეტილი დახვდებოდა, ერუანტელი უვლიდა. არც მამა, არც დედა არ შემოეგებებოდნენ... მამა სამამულო ომში დაეღუპა, დედა მის დარდს გადაჰყვა და შერჩნენ ერთმანეთს ორი პატარა ძმა, ორი ობოლი. მეზობლები და სახლიკაცები დაეხმარნენ და კერა არ გააცივებინეს. დავაკაცდა ჭაბარა მუკუტია და ნოდარი გადა — მოწინავე კოლმეურნე, მერე საბჭოთა არმიის მამაცი ჯარისკაცი. უფროსი ძმა არმიაში რომ გაიწვიეს, უმცროსი — თორმეტი წლის მირიანი დეიდასთან გადასახლდა ახალსოფელში. და გაჰყვა ჯარისკაცს მიტოვებული კერისა და ოჯახის დარდი. იგივე დარდი მოჰყვება თან შინმობრუნებულს.

ჯერ ინგირის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებს არც გასცდენოდა, რომ მშობლიური სოფლისკენ რაღაც შუქი შენიშნა. ჯერ ერთგან დალანდა ხეებს შორის კაშკაშა სინათლე, მერე მეორეც გამოჩნდა, მესამეც, მეოთხეც. „ბიჭოს, ეტყობა ელექტროშუქი გამოუყვანიათ ჩვენს სოფელში! ეს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიხეილ უბილავას თაოსნობა იქნება. უნდა გამოვიყვანოთო, ამ ოთხი წლის წინათაც აგულიანებდა კოლმეურნეებს".

მთავარი გზატკეცილიდან მარცხნივ უხვევდა მისი სახლისაკენ მიმავალი საურმე გზა. ნოდარი შეჩერდა, მცირე ხანს ყოყმანობდა, მერე ისევ პირდაპირ განაგრძო გზა: როგორღაც სახლისკენ არ მიუწევდა გული.

მიჰყვებოდა შარაგზას განიერი ნაბიჯით და ყურადღებით ათვალიერებდა გარშემო ყველაფერს. აქეთ-იქიდან ფართო ეზოებს სახეიმოდ გადმოყურებდნენ ოდა-სახლების განათებული ფანჯრები და ოჯახურ სითბოსა და ბედნიერებას აგონებდნენ ყოფილ ჯარისკაცს.

გზადაგზა ჩერდებოდა და დიდხანს აკვირდებოდა ეზოს და სახლს. მოიცა, ხომ არ აერია, აქ მიხეილ გარდავა სახლობს, ეს როგორ დაავიწყდებოდა, მაგრამ რაღაც ეზო-გარემო ეუცხოვება. აპა, ახალი სახლი აუშენებია, წინ ალვისხეები დაურგავს და ამას შეუცვლია აქაურობა, ეროჰაა! მარტო გარდავა კი არა, ეტყობა, ნახევარი სოფელი ხელახლა დასახლებულა, ახალი სახლები აუშენებიათ ჭიჭიკო სიხარულიას, მუშები ხურცილავას, ვარლამ და ბეგლარ ნაროუშვილებს, იორდანე ვერავას და კიდევ რამდენს... ეს კი, მაგრამ აქ რომ სახლი სულაც არ იდგა! ცარიელი მინდორი იყო. ვიღაცას ორსართულიანი ოდა წამოუჭიმავს, აგერ ქირიების უბანშიც ახალი კოლი გაჩენილა. გამრავლებულა ხალხი. გადიდებულა სოფელი! — უხარია ნოდარს.

სოფლის ცენტრამდე ისე მივიდა, არავინ შეხვედრია. მივიდა და აქ მართლაც მოექცა მხარი, ისე იყო შეცვლილი აქაურობა. მარჯვნივ და მარცხნივ ახალ-ახალი შენობები იყო ჩამწკრივებული: ეს კულტურის სახლიო, ეს აფთიაქი, სასადილო, საავადმყოფო, იქით კიდევ რაღაც დიდი ნაგებობის შენება დაუწყიათ, ალბათ სკოლის ახალი შენობა თუ არის.

არა, ოთხ წელიწადში თუ ასე შეიცვლებოდა სოფელი, ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. კი მაგრამ ნოდარს რატომ არაფერი მისწერეს ამაზე! სალამისა და მოკითხვის მეტს რომ არაფერს უგზავნიდნენ.

„ეჰ, სოფელი აშენებულა, ჩემი სახლკარი კი ალბათ მოძველდა და დაიქცა", — ამოიოხრა ჭაბუამ და შინისკენ იბრუნა პირი. ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, განცვიფრებისაგან გარინდდა. იდგა და თვალებს არ უჯერებდა: მის სახლში შუქი ენთო. საოცარია, ან ელექტრობაზი ვინ გაიყვანა, ან საგანგებოდ ვინ აანთო ამ ღამეს. უმცროსი ძმა აქ არ ეგულებოდა, მაშ ვინ აუნთებდა სახლსა და კერას!

აივანზე ფრთხილად შევიდა, მაგრამ მეზობლის ძაღლმა მაინც გაუგო. ვიღაცამ სამზადი სახლის კარი გამოაღო და ხმამაღლა გასძახა:

— ეი, რომელი ხარ მანდ! — ნოდარმა გაგა გრიგოლავას ხმა იცნო.

— მე ვარ, ბიძია გაგა, ნოდარი.

— რომელი ნოდარი ხარ, ბიჭო, ვერ გიცანი.

— მუკუტია ვარ, ბიძია გაგა. ასე მალე დავავიწყდი? — თქვა ახალგაზრდამ და მოხუცისაკენ წავიდა.

— მუკუტია? შენ კი გენაცვალე, ბიჭო, ჩამოხვედი? ქალებო, გამოდით გარეთ, მუკუტია ჩამოსულა! — აქაქანდა გაგა და ხელებგაშლილი შეეგება მოსულს

დემობილიზებულს სხვა მეზობლებიც გამოეგებნენ — აქედან გალაქტიონ ლოგუას, იქიდან მიხეილ ქირიას ოჯახის წევრები. გრიგოლავების სამზად სახლში ცეცხლის წინ სწრაფად გაიშალა სახელდახელო სუფრა და მალე გაიბა ტკბილი მასლაათი აქეთურ-იქითურზე.

— არ გაგიკვირდა, ბიჭო, ელნათურებით გაჩირაღდნებული რომ დაინახე შენი სახლი? — სიცილით ეუბნება გაგა ნოდარს, — ჩვენ გამოგიყვანეთ, მეზობლებმა, ვიცოდით მალე ჩამოხვიდოდი და არ გვინდოდა გული დაგწყვეტოდა, ყოველმა საგანგებოდ ვანთებდით შენს სახლში შუქს. რაც შეგვეძლო, სახლ-კარისთვის და ეზო-გარემოსთვის ყურადღება და პატრონობა არ მოგვიკლია. აწი შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იმასაც დაგვპირდა, როგორც კი ჩამოვა, ახალ სახლს ავაშენებინებთო. მაგრამ რა ვიცი, იქნებ შენ სულაც არ აპირებ სოფელში დარჩენას.

— კი, ძია გაგა, თქვენ ვერ მოგშორდებით, მამისეულ კერას ვერ გავაცივებ.

— ასე, შვილო, ვიცი, მოსიყვარულე რომ ხარ. სად გინდა, ისევ ფერმას დაუბრუნდები?

— კი, თუ გამიშვებენ, ისევ ფერმაში მირჩევნია.

— კარგია. ახლა უფრო გაგიადვილდება მუშაობა. შენ რომ წახვედი, მას შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა. ისე მოვაწყეთ ფერმები, გაგეხარდება. ავაგეთ ახალი სადგომები, ელექტრობაც გავიყვანეთ და ნაწილობრივ მექანიზაციაც მოვაწყეთ. შენი აქ ყოფნისას რამდენს წველიდით თვითეულ ძროხაზე, თუ გახსოვს? 350 ლიტრს, არა? ჰო და შარშან ერთ ძროხაზე 900 კილოგრამი რძე მივიღეთ.

გვიანობამდე იბაასეს. ნოდარს ყოველი წვრილმანი აინტერესებდა: სოფლის ახალმშენებლობანი და საკოლმეურნეო დოვლათის ზრდა, კოლმეურნეთა დრამატული წრის ამბავიც და ისიც, ჰყავს თუ არა კოლმეურნეობას კარგი სადოღე ცხენი. საათითოდ გამოიკითხა ყველა მეზობლის, ნაცნობის ამბავი.

გაგაც ხალისით უამბობდა ყველაფერს: ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ამ ოთხ წელიწადში სამი ათასიდან ოთხი ათას კილოგრამამდე ავიყვანეთ, სიმინდისა ხუთი ცენტნერით გავზარდეთ. შვიდწლიანი სკოლა გვქონდა და ახლა საშუალო სკოლა გვაქვს, ამ ოთხ წელიწადში მეტი რა გინდა... ჰო, მართლა, კინაღამ დავიწყდა გაგას: ბოჩო ქირია დაბრუნდა არმიიდან და დაცოლშვილდა კიდეც, სოლომონ ბუკიას ქალიშვილი მოიყვანა ცოლად.

— ახლა ჯერი შენზეა, აბა ჰე. თუ მალე გვაქმევ ქორწილს, შენ იცი.

არც დაუყოვნა ნოდარმა. ორიოდე თვის შემდეგ ობლობაში გაზრდილმა ბიჭმა ახალ სახლში პატარძალი შემოიყვანა და ქორწილიც გადაიხადა.

ჩაუქრობლად ანთია ახლა შუქი ნოდარ ქირიას სახლში, ღვიეის ბუხარი და ოჯახურ ბედნიერებაზე გუგუნებს ცეცხლი.

მ. მიქაძე.

* * *



სურათზე: კულტურის სახლი ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში.

ფოტო კ. სახვიაშვილისა.

საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხზე

14 თებერვალს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. რაპაცკიმ სსრ კავშირის ელჩს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვს გადასცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხზე.

3 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ლესლავ ვოიტიგი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის პასუხი.

ქვემოთ ქვეყნდება საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი.

„ცენტრალურ ევროპაში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 14 თებერვლის მემორანდუმის პასუხად საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა, როგორც მას ამის შესახებ არაერთგზის განუცხადებია, სავსებით უჭერს მხარს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივას, რომ ევროპაში შეიქმნას ზონა, რომელშიც შევა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიები, სადაც არ უნდა აწარმოონ და არ უნდა განალაგონ ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღი. ამ წინადადების განხორციელება, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში ევროპის კონტინენტის შუაგულში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ რაიონში, სადაც არის ორი სამხედრო დაჯგუფების ჯარებისა და სხვადასხვა სახეობის თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა და იარაღის არაჩვეულებრივი თავმოყრა მშვიდობიანი დროის პირობებში.

ევროპაში უატომო ზონის შექმნა სავსებით შეესაბამება ევროპის სახელმწიფოთა ხალხების ძირეულ ინტერესებს, ხალხებისა, რომლებიც დიდად არიან შეშფოთებულნი ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის გამოყენებით გამანადგურებელი ომის წარმოშობის საფრთხით და ითვალისწინებენ, თუ რა უბედურებასა და ტანჯვას გამოიწვევს მასობრივი მოსპობის ამ იარაღის გამოყენება, განსაკუთრებით ევროპის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. ამ წინადადების განხორციელება უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენდა მთლიანად საერთაშორისო ვითარებაზე და ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა ურთიერთობაში საჭირო ნდობის დამყარებას.

ევროპაში უატომო ზონის შექმნის შემთხვევაში მთელი ცენტრალური ევროპა, რომელიც შეიცავს დაახლოებით ერთ მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას ას მილიონზე მეტი მოსახლეობით, თავისუფალი იქნებოდა ატომური, წყალბადის, აგრეთვე რაკეტული იარაღის წარმოებისა და დაგროვებისაგან, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნებოდა ცენტრალური ევროპის რაიონისთვის, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ორი სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული ძალები დ[illegible] სადაც ადგილობრივი კონფლიქტები ყველაზე ადვილად შეიძლება გადაიქცეს დიდ კონფლიქტებად, მშვიდობის საქმისათვის აქედან გამომდინარე ყველა მძიმე შედეგით.

საბჭოთა მთავრობა გულდასმით გაეცნო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმის შინაარსს. მემორანდუმში ჩამოყალიბებულია მოსაზრებანი როგორც იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებსაც იკისრებენ ზონაში შემავალი სახელმწიფოები, ისე იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებსაც იკისრებენ სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აგრეთვე სხვა სახელმწიფოები, რომელთა ჯარები განლაგებული არიან ზონაში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

საბჭოთა მთავრობა სავსებით ეთანხმება იმას, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ზონაში შევლენ, იკისრონ ვალდებულება არ აწარმოონ, არ შეინახონ, არ მიიღონ საკუთარი მიზნებისათვის, ნება არ დართონ თავის ტერიტორიებზე განალაგონ ყველა შესაძლო ტიპის ატომგულის იარაღი, აგრეთვე არ დადგან და არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიებზე დანადგარები და მოწყობილობანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ატომგულის იარაღს, მათ შორის რაკეტების გასაშვები დანადგარები.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, როგორც ეს უკვე ნათქვამი იყო მის ამა წლის 19 თებერვლის განცხადებაში, რომ ევროპის ცენტრში ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ წინადადებათა განხორციელება მოითხოვს, რომ აღნიშნულ ზონაში მდებარე სახელმწიფოთა შესაბამის ვალდებულებებთან ერთად, სახელმწიფოებმა, რომლებსაც ატომგულისა და რაკეტული იარაღი აქვთ, საქვეყნოდ იკისრონ ვალდებულება **პატივი სცენ აღნიშნული ზონის სტატუსს და ამ ზონაში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორია მიიჩნონ ატომგულისა და რაკეტული იარაღის გამოყენების სფეროდან გამორიცხულად.** ეს ვალდებულებას დააკისრებდა აღნიშნულ სახელმწიფოებს არ შეიარაღონ ზონის ტერიტორიაზე მყოფი თავიანთი ჯარები და სხვა სახელმწიფოთა ჯარები ატომური და რაკეტული იარაღით და ეს იარაღი არ გადასცენ ამ ზონის სახელმწიფოთა მთავრობებს ან ამ ზონაში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც სამხედრო დაჯგუფებათა სარდლობას ექვემდებარებიან, აგრეთვე არ შეიტანონ და არ ააგონ დანადგარები და სამხედრო ტექნიკა, რომელნიც მომსახურებას უწევენ ატომგულის იარაღს, მათ შორის რაკეტების გასაშვები დანადგარები.

ითვალისწინებს რა ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, საბჭოთა მთავრობამ, თავის მხრივ, 19 თებერვალს უკვე განაცხადა, რომ მზად არის იკისროს ზემოაღნიშნული ვალდებულებანი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ასევე მოიქცევიან.

სსრ კავშირის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს ამ საკითხზე საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თვალსაზრისთა დამთხვევას და სავსებით ეთანხმება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებას, რომ სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი ზონის ტერიტორიისა და იქ მყოფი რაიმე ობიექტის წინააღმდეგ, აგრეთვე ვალდებულებანი:

ა) არ იქონიონ ატომგულის იარაღი ზონის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთი ჯარების შეიარაღებაში; არ იქონიონ და არ დადგან ზონის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე რაიმე დანადგარი და მოწყობილობა, რომლებიც განკუთვნილია მისი მომსახურებისათვის, მათ შორის რაკეტების გასაშვები მოწყობილობანი;

ბ) მთავრობებს ან სხვა ორგანოებს ამ ტერიტორიაზე რამენაირად და რაიმე საბაბით არ გადასცენ არც ატომგულის იარაღი, არც დანადგარები და მოწყობილობანი, რომლებიც განკუთვნილია მისი მომსახურებისათვის.

საბჭოთა კავშირი ეთანხმება აგრეთვე მემორანდუმში გამოთქმულ მოსაზრებას ზონაში კონტროლის შესახებ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას დაინტერესებულ მხარეთა შორის, და მზად არის მიიღოს მონაწილეობა ასეთი კონტროლის განხორციელებაში.

საბჭოთა მთავრობა სავსებით ეთანხმება აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებებს, რომლებიც ეხება ზონის შესახებ შეთანხმების მომზადებისა და გაფორმების წესს.

ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ წინადადების განხორციელება ხელს შეუწყობდა იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც, დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით, ეხება ამ ზონაში უცხოეთის ჯარების რიცხვისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას, და შემდგომ უფრო ფართო ღონისძიებათა მიღებას ხოგორც განიარაღების დარგში, ისე სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

ცენტრალურ ევროპაში ატომური, წყალბადის, აგრეთვე რაკეტული იარაღის წარმოებისა და განლაგებისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემაა, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რომ თანამედროვეობის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის უატომო ზონის შექმნის საკითხი განხილულ იქნას სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირზე მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებსაც ატომგულისა და რაკეტული იარაღი აქვთ, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს წინადადებას ზონის შექმნის შესახებ და ამით ხელს შეუწყობენ ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ატომის ენერგიის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოყენების კეთილშობილური მიზნის მიღწევას“.

ინგლისელი მშვიდობის მომხრენი მოითხოვენ რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული თათბირი უმაღლეს დონეზე

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). ინგლისელი მშვიდობის მომხრენი მხარს უჭერენ უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების იდეას. ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გენერალურმა საბჭომ მხარი დაუჭირა ატომგულის იარაღის აკრძალვას და იმას, რომ დავა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით და არა ომის გზით.

ამ განცხადებას შეიცავს რეზოლუცია გენერალური საბჭოსი, რომელიც ინგლისის მთავრობას მოუწოდებს „ყოველი ღონე იხმაროს, რათა მიაღწიოს უმაღლეს დონეზე თათბირის რაც შეიძლება მალე მოწვევას“.

გენერალურ საბჭოს მიაჩნია, რომ საჭიროა მუდმივი ზეგავლენა მთავრობაზე და მოუწოდებს ინგლისის საზოგადოებრიობას დარაზმულად იმოქმედოს ამ მიმართულებით. „კრებების, კონფერენციების, დემონსტრაციების მოწყობა, წერილები და დეპუტაციები, ხელმოწერის შეგროვება, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ მივაღწიოთ მთავრობისა და პარლამენტის წევრთა დაუყოვნებლივ მოქმედებას ატომგულის საფრთხის ლიკვიდაციისათვის“.

გენერალურმა საბჭომ გადაწყვიტა მოაწყოს 11 მაისს ლონდონში სრულიად ინგლისის მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია, რომელმაც უნდა დასახოს უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების წარმატებისათვის ბრძოლის საუკეთესო მეთოდები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი

ვაშინგტონი, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი. ოფიციალურ განცხადებათა მიხედვით, მისი ვიზიტის მიზანია განიხილოს „პოლიტიკური, სამხედრო და ტექნიკური პრობლემები“ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან და ამერიკის სხვა ოფიციალურ პირებთან.

პენტაგონის (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება. — რედ.) წარმომადგენელმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ შტრაუსი აპირებს დაათვალიეროს ამერიკის მართული ყუმბარების ბაზები, აგრეთვე ლაბორატორიები და ქარხნები, რომლებიც ამ ყუმბარებს აწარმოებენ. გარდა ამისა, შტრაუსი აპირებს გაეცნოს ამერიკულ ავიაგამანადგურებელთა უკანასკნელ მოდელებს იმ მიზნით, რომ შესაძლოა შეიძინონ ისინი დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის.

ერაყის ახალი მთავრობა

დამასკო, 4 მარტი. (საკდესი). ბაღდადიდან მიღებული ცნობებით ერაყის პრემიერ-მინისტრმა აბდულ ვაჰაბ მირჯანმა მეფე ფეისალს მისცა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ.

როგორც ცნობილი გახდა, ერაყის ახალი მთავრობა მეფის დავალებით შეადგინა ნური საიდმა.

გაზაფხული თბილისში

მიიწურა ზამთარი. ბაღში გაზაფხულის სურნელება დატრიალდა. გაზაფხულს თავისი სილამაზე მოაქვს ქალაქისათვის. მალე მწვანით დაშვენდებიან გაშიშვლებული ხეები, აკოკრდებიან მცენარეები. თბილისის ზოგიერთ ბაღში, სადაც უფრო მყუდრო ადგილებია, ნუშის ხეები უკვე გაიფურჩქნა.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის პარკებში, ბაღებსა და სკვერებში. მებაღეები ასუფთავებენ მარადმწვანე მცენარეებს, რგავენ გაზაფხულის ყვავილებს, დასარგავად ამზადებენ ორმოებს. წელს თბილისში 500.000 ძირი ხე და ბუჩქი დაირგვება. აქედან მარტო გაზაფხულზე თბილისის გამწვანების მეურნეობის ტრესტმა უნდა დარგოს 100.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

მწვანე ნარგავებით დამშვენდება ახალი — ვაკე-საბურთალოს მაგისტრალი. მის შუა ნაწილში მოეწყობა ხეივანი, ქუჩის გაყოლებით დაირგვება მარადმწვანე და ფოთოლმცვენი მცენარეები.

თბილისს წელს კიდევ ახალი პარკი შეემატება. საბურთალოზე, ერთ-ერთ ახალ უბანში, გაშენდება რაიონული მნიშვნელობის პარკი, სადაც მოეწყობა საზაფხულო კინოთეატრი, სასპორტო მოედნები. აქ უკვე დარგულია ალვისხეები, მალე დაიწყება კედრების, ნაძვისხეების დარგვა.

მთაწმინდის ფერდობზე 30 ჰექტარ ფართობზე გაშენდება ტყე-პარკი, სადაც ამ გაზაფხულზე დაირგვება 30.000 ხე და ბუჩქი. მწვანე ნარგავებით შეივსება მთაწმინდის ფერდობები. მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარეებით დამშვენდება მტკვრის მარცხენა სანაპირო ჩელუსკინელების ხიდიდან სტალინის სახელობის ხიდამდე.

კვლავ დიდი სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის „ზღვაზე“, რომელიც უკვე იქცა დედაქალაქის მცხოვრებთა საუკეთესო დასასვენებელ ადგილად.

თბილისის მწვანე სამოსელი ყოველწლიურად მატულობს. მცენარეებით ირთვება ქალაქის საწარმო-დაწესებულებების ტერიტორიები, ახალი საცხოვრებელი უბნები.

* * *

სურათზე: აყვავებულ ნუშის ხესთან.
ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ჟურნალი «საქართველოს კომუნისტი» № 2

გამოვიდა და ხელმომწერლებს დაურიგდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 2.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — საქართველოს კომუნისტების საბრძოლო პროგრამა; **სტატიები:** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; **ა. ბერიძე** — საბჭოთა შეიარაღებული ძალები დიდი ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო დამცველი; **ნ. მუსხელიშვილი** — ქართული საბჭოთა მეცნიერების აყვავება; **ბ. ძნელაძე** — გ. კ. ორჯონიკიძე ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

განყოფილებაში ლექცია და კონსულტაცია გამოქვეყნებულია: **ნ. კუზმინი** — კომუნისტური პარტია — უცხოელ ინტერვენტთა და შინაგანი კონტრრევოლუციის განადგურების ორგანიზატორი.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში დაბეჭდილია: **გ. ოქროუაშვილი**—პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი; **ე. ქვათაძე** — განუხრელად განვახორციელოთ მიღებული გადაწყვეტილებები.

განყოფილებაში პასუხი შეკითხვებზე მოთავსებულია: პარტიული სასჯელის შესახებ.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში გამოქვეყნებულია: **ა. კალანდია, ბ. დობორჯგინიძე** — ნაშრომი ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე; **გ. გოცირიძე** — წიგნი კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესახებ.

ჟურნალში აგრეთვე მოთავსებულია პარტიული ქრონიკა.

სპორტის ამბები

ლახტის ჯიდაოელები

ფინეთის ქალაქ ტამპერეში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში. ასპარეზობის მეორე დღეს სტარტზე გამოვიდნენ სათხილამურო ორკეტში მონაწილე სპორტსმენები. 15 კილომეტრიან გადარბენაში პირველი ადგილი დაიკავა პ. კორპონენმა. მომდევნო ორ ადგილზე გამოვიდნენ ნორვეგიელი მოთხილამურეები.

პ. კორპონენი სათხილამურო ორკეტში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

4 მარტს მოთხილამურე ვაჟები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 15 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში. ოქროს მედალი მოიპოვა ვ. ჰაკულინენმა (ფინეთი). საბჭოთა სპორტსმენმა პ. კოლჩინმა მეორე ადგილი დაიკავა.

შეჯიბრება გრძელდება.

პირველი ტურის ფინალები

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი ტურის ფინალური შეხვედრები კრივში.

უმჩატეს წონაში რ. მუსაელიანისა და გ. გასპარიანის ორთაბრძოლა დამთავრდა რ. მუსაელიანის გამარჯვებით, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მჩატე წონაში თბილისელმა ს. ჩოტულიდიმ დაამარცხა ვ. კლუბნიჩკინი და საკავშირო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ქვემსუბუქ წონაში გ. ბუმბიაშვილმა (თბილისი) ძლიერად ჩაატარა ბრძოლა ერევნელ კ. კარაპეტიანთან და გაიმარჯვა. მსუბუქ წონაში უძლიერესი აღმოჩნდა დონის როსტოვის წარმომადგენელი ა. ბორისოვი, რომელმაც დაამარცხა ვ. აგარონოვი (ტაშკენტი).

დანარჩენი წონითი კატეგორიების ფინალური შეხვედრები გვიან საღამოდე გრძელდებოდა.

გ. მაჭავარიანი — თბილისის ჩემპიონი

თბილისის ცენტრალურ საუდარაკო კლუბში თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა საქალაქო ჩემპიონატი ჭადრაკში.

ფინიშამდე ლიდერი ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე იყო, მაგრამ დასკვნითი შეხვედრები მან დაბალ დონეზე ჩაატარა.

სამაგიეროდ გადამწყვეტი პარტიები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა ნიპიერმა მოჭადრაკემ გ. მაჭავარიანმა და 12 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

გ. მაჭავარიანი თბილისის ჩემპიონი გახდა.

მეორე და მესამე ადგილები თერთმეტ-თერთმეტი ქულით გაიყვეს თ. გიორგაძემ და გ. კალატოზიშვილმა. ათ-ათი ქულით მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები გაინაწილეს გ. გამრეკელმა, თ. ლომაიამ და ა. იზვოზჩიკო